

შპს „ელ ფი ეი“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შპს „ელ ფი ეი“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

## შინაარსი

|                                                  |   |
|--------------------------------------------------|---|
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....          | 2 |
| სრული შემოსავლის ანგარიშგება.....                | 4 |
| საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება ..... | 5 |

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები - 5-12

შპს „ელ ფი ეი“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

|                                            | შენიშვნა | 31-12-19            | 31-12-18            | 31-01-18          |
|--------------------------------------------|----------|---------------------|---------------------|-------------------|
| <b>აქტივები</b>                            |          |                     |                     |                   |
| გრძელვადიანი აქტივები                      |          |                     |                     |                   |
| ძირითადი საშუალებები                       | 3        | 403,497.48          | 401,813.51          | 384,464.45        |
| არამატერიალური აქტივები                    |          | -                   | 66.83               | 187.57            |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>           |          | <b>403,497.48</b>   | <b>401,880.34</b>   | <b>384,652.02</b> |
| მოკლევადიანი აქტივები                      |          |                     |                     |                   |
| ფული და ფულის ეკვივალენტები                | 4        | 406,483.03          | 526,031.73          | 104,460.72        |
| საგადასახადო აქტივები                      |          | 13,485.89           |                     |                   |
| სასაქონლო-მატერიალური მარაგები             |          | -                   | 84.34               | 61.33             |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები    | 5        | 515,000.37          | 480,596.31          | 392,854.11        |
| გაცემული სესხები                           |          |                     |                     |                   |
| სხვა მოთხოვნები                            |          | 379.79              | 379.79              | 379.79            |
| გადახდილი ავანსები                         |          | 7,167.66            | 303.46              | 359.03            |
| <b>სულ მოკლევადიანი აქტივები</b>           |          | <b>942,516.74</b>   | <b>1,007,395.63</b> | <b>498,114.98</b> |
| <b>სულ აქტივები</b>                        |          | <b>1,346,014.22</b> | <b>1,409,275.97</b> | <b>882,767.00</b> |
| <b>კაპიტალი</b>                            |          |                     |                     |                   |
| საწესდებო კაპიტალი                         |          | 100.00              | 100.00              | 100.00            |
| გაუნაწილებელი მოგება/ზარალი                |          | 1,148,077.32        | 833,082.95          | 532,000.86        |
| <b>სულ კაპიტალი</b>                        | 6        | <b>1,148,177.32</b> | <b>833,182.95</b>   | <b>532,100.86</b> |
| <b>ვალდებულებები</b>                       |          |                     |                     |                   |
| გრძელვადიანი ვალდებულებები                 |          |                     |                     |                   |
| გრძელვადიანი სესხები                       | 7        | 118,931.83          | 136,911.06          | 225,137.83        |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>      |          | <b>118,931.83</b>   | <b>136,911.06</b>   | <b>225,137.83</b> |
| მოკლევადიანი ვალდებულებები                 |          |                     |                     |                   |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები | 8        | 4,596.40            | 7,217.62            | 4,793.47          |
| მოკლევადიანი სესხები                       | 7        | 52,724.86           | 95,557.08           | 102,393.34        |
| მღებულის ავანსები                          |          | 21,583.81           | 20,618.56           | 16,624.73         |
| მიღებული შეზღუდული დეპოზიტი                |          |                     | 268,960.00          |                   |
| საგადასახადო ვალდებულებები                 |          |                     | 46,828.70           | 1,716.77          |
| <b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b>      |          | <b>78,905.07</b>    | <b>439,181.96</b>   | <b>125,528.31</b> |
| <b>მთლიანი ვალდებულებები</b>               |          | <b>197,836.90</b>   | <b>576,093.02</b>   | <b>350,666.14</b> |
| <b>მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები</b>   |          | <b>1,346,014.22</b> | <b>1,409,275.97</b> | <b>882,767.00</b> |

ფინანსური ანგარიშგება გამოშვებულია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 5 ოქტომბერი



ლევან ნიკოლაძე  
დირექტორი

შპს „ელ ფი ეი“  
 ფინანსური ანგარიშგება  
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
 (ქართულ ლარში)

სრული შემოსავლის ანგარიშგება

|                                          | შენიშვნა | 2019           | 2018           |
|------------------------------------------|----------|----------------|----------------|
| ამონაგები                                |          | 2,292,222.51   | 1,587,777.38   |
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება    |          | (35,572.57)    | (32,807.63)    |
| საერთო მოგება                            | 9        | 2,256,649.94   | 1,554,969.75   |
| დასაქმებულთა ანაზღაურება                 | 10       | (1,637,758.30) | (1,079,659.78) |
| ცვეთა და ამორტიზაცია                     |          | (40,764.37)    | (28,427.76)    |
| საპროცენტო შემოსავალი                    |          | 2,747.96       | 2,952.38       |
| საპროცენტო ხარჯი                         |          | (19,631.32)    | (23,316.15)    |
| შენიშნის მოვლის და კომუნალური ხარჯი      |          | (10,097.79)    | (10,618.41)    |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები        | 11       | (61,932.18)    | (69,823.07)    |
| სხვა ხარჯები                             |          | (68,021.68)    | (40,224.43)    |
| სულ საოპერაციო ხარჯები                   |          | (1,835,457.68) | (1,249,117.22) |
| საოპერაციო მოგება                        |          | 421,192.26     | 305,852.53     |
| წმინდა შემოსულობა სავალუტო ოპერაციებიდან | 12       | (197.89)       | (4,770.42)     |
| სხვა წმინდა არასაოპერაციო ხარჯი          |          |                |                |
| მოგება მოგების გადასახადის ხარჯამდე      |          | 420,994.37     | 301,082.11     |
| განგრძობითი ოპერაციებიდან                |          |                |                |
| მოგების გადასახადი                       |          |                |                |
| მოგება/(ზარალი)                          |          | 420,994.37     | 301,082.11     |
| სხვა სრული შემოსავალი                    |          |                |                |
| მთლიანი სრული შემოსავალი                 |          | 420,994.37     | 301,082.11     |

ფინანსური ანგარიშგება გამოშვებულია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 5 ოქტომბერი



ლევან ნიკოლაძე

ლევან ნიკოლაძე

დირექტორი

შპს „ელ ფი ეი“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

|                                      | საწესდებო კაპიტალი | გაუნაწილებელი მოგება | მთლიანი კაპიტალი |
|--------------------------------------|--------------------|----------------------|------------------|
| 2018 წლის 1 იანვარი                  | 100                | 532,001              | 532,101          |
| წმინდა მოგება                        |                    |                      | -                |
| გაუნაწილებელი მოგების<br>კორექტირება | -                  |                      | -                |
| პერიოდის სრული შემოსავალი            | -                  | 302,082              | -                |
| გაცემული დივიდენდი                   | -                  |                      | -                |
| 2018 წლის 31 დეკემბერი               | 100                | 834,072              | 532,101          |
| წმინდა მოგება                        |                    |                      | -                |
| გაუნაწილებელი მოგების<br>კორექტირება | -                  |                      | -                |
| პერიოდის სრული შემოსავალი            | -                  | 420,994              | -                |
| გაცემული დივიდენდი                   |                    | (106,000)            | (106,000)        |
| საწესდებო კაპიტალის ზრდა             | -                  | -                    | -                |
| 2019 წლის 31 დეკემბერი               | 100                | 1,147,077            | 426,101          |

ფინანსური ანგარიშგება გამოშვებულია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 5 ოქტომბერი



ნიკოლაძე

ლევან ნიკოლაძე

დირექტორი

შპს „ელ ფი ეი“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

## 1 ზოგადი ინფორმაცია

შპს „ელ ფი ეი“ (შემდგომში „კომპანია“) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 2009 წლის 19 ივნისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სამი იურისტის მიერ. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, ბესიკის ქ. #4, ბიზნეს ცენტრი ბესიკზე, ოფისი 203.

ამჟამად თანაბარი წილობრივი მონაწილეობა აქვს ხუთ პარტნიორს:

დავით კაპანაძე (პ/ნ 54001004950) - 20%

ლევან ნიკოლაძე (პ/ნ 01031004451) - 20%

ნანა გურგენიძე (პ/ნ 01008016566) - 20%

სალომე მეუნარგია (პ/ნ 19001063927) - 20%

არჩილ ლეჟავა (პ/ნ 01030025769) - 20%

კომპანია წარმოადგენს იურიდიულ ფირმას, რომელიც საქართველოს ბაზარზე სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალის სფეროში იურიდიულ მომსახურებას უწევს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს კლიენტების მომსახურება სამეწარმეო, სამოქალაქო, სატელეკომუნიკაციო, საინვესტიციო, ინტელექტუალური საკუთრების, უძრავი ქონების და ბიზნეს სამართლის სხვადასხვა სფეროში. რაც მოიცავს როგორც კონსულტაციების გაცემას, ასევე ხელშეკრულებების მომზადებას, მოლაპარაკებებში დახმარებას და სასამართლო დავებში წარმომადგენლობას. კომპანია ასევე ახორციელებს ადმინისტრაციულ დავებში კერძო და საჯარო პირების ინტერესების დაცვას.

2019 წლის მდგომარეობით კომპანიის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობაა - 16 (2018 - 16). კომპანიაში უმრავლესობა ქალია დასაქმებული.

## 2 ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა მომზადების საფუძვლები

შსს ფასს-ის 35-ე მუხლის თანახმად კომპანიის შესაბამის სტანდარტზე გადასვლის თარიღია 2019 წლის 1 იანვარი. გადასვლის თარიღამდე კომპანია არ ამზადებდა და არ წარადგენდა ფინანსურ ანგარიშგებას რაიმე სახის რეგულაციების მოთხოვნიდან გამომდინარე, შესაბამისად წარმოდგენილი არ არის წინა პერიოდებში წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებებთან შეჯერების მონაცემები.

შსს ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას. კომპანიის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა განსაზღვრულია სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებით შენიშვნაში. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების და საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერებზე დაყრდნობით.

შპს „ელ ფი ეი“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

## სააღრიცხვო პოლიტიკა

### უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება ფუნქციონალურ ვალუტაში, რომლის გადაფასება ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების გადაფასების შედეგად მიღებული მოგება და ზარალი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, სავალუტო ოპერაციებიდან მიღებული წმინდა შემოსულობა/დანაკარგის ნაწილში.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული „სებ“ გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

#### საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

|                 | 31.12.2019 | 31.12.2018 | 31.12.2017 |
|-----------------|------------|------------|------------|
| აშშ დოლარი      | 2.8677     | 2.6766     | 2.5922     |
| ევრო            | 3.2095     | 3.0701     | 3.1044     |
| ფუნტი სტერლინგი | 3.7593     | 3.3955     | 3.5005     |

### ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. საწყისი აღიარების შემდგომ, თვითღირებულებიდან გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების შედეგად აღრიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დაირიცხება ხდება წრფივი მეთოდით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრულია შემდეგნაირად:

| დასახელება                | სასარგებლო მომსახურების ვადა |
|---------------------------|------------------------------|
| კომპიუტერული ტექნიკა      | 4                            |
| ელექტრონული მოწყობილობები | 4                            |
| ავტო და სხვა ინვენტარი    | 5                            |
| სატრანსპორტო საშუალებები  | 8                            |
| შენობა ნაგებობა           | 25                           |

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები აღირიცხება წარმოშობისას და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ

ისინი არ ექვემდებარება კაპიტალიზაციას. სასარგებლო მომსახურების ვადა მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგებაში ან ზარალში სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალში/ზარალში იმ პერიოდისთვის, რომლის განმავლობაშიც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა.

#### არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს საბუღალტრო პროგრამას. არამატერიალური აქტივები პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. პირველადი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები აღირიცხვა გრძელდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. არამატერიალურ აქტივებზე ამორტიზაციის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით აქტივის შეფასებული მომსახურების ვადის 7 წლის მანძილზე.

#### ფული და ფულის ეკვივალენტები.

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება რეზიდენტ ბანკებში არსებული ფულის ნაშთისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

#### მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. მარაგების ფასდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. ნებისმიერი გაუფასურების ზარალის გამოვლენის მიზნით, ყოველწლიურად ხდება არალიკვიდურ მარაგების იდენტიფიკაცია, მოძველებული ერთეულების არსებობის შემთხვევაში, ჩამოიწერება სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურების რეზერვის ანგარიშის მეშვეობით.

#### ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას თავდაპირველად აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს გარიგების ფასით. კომპანია ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, როდესაც კომპანია მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას გაასხვისებს. ფინანსური აქტივების შემდგომი აღირიცხვა დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს ფინანსური აქტივების გაუფასურებაზე კომპანია აფასებს ხომ არ დადგა თავდაპირველი აღიარების შემდეგ ერთი ან მეტი გარემოება, რომელსაც გავლენა ექნებოდა ფინანსური აქტივის (აქტივთა ჯგუფის) თავდაპირველად გამოთვლილ სამომავლო ფულად ნაკადებზე.

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც სახელშეკრულებო უფლებები აქტივისგან წარმომდგარ ფულად ნაკადებზე იწურება, ან ეს უფლება ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა მეორე პირს ყველანაირ რისკთან და საკუთრების უფლებასთან ერთად. გადაცემული ფინანსური აქტივიდან წარმოქმნილი ნებისმიერი სარგებელი კომპანიის მიერ აღიარდება როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალში.

#### საგადასახადო აქტივები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2019 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს დანეტებულიად.

#### მოგების გადასახადი

საქართველოში კომპანიების წლიური მოგება, ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სადაზღვევო კომპანიების გარდა, არ იბეგრება 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადით იბეგრება იმ აქციონერებს შორის დივიდენდის სახით განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან საქართველოს არარეზიდენტები, წმინდა განაწილების თანხიდან 15/85 ოდენობით. მოგების გადასახადი, დივიდენდების გადახდის შედეგად, აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით დივიდენდის გამოცხადების პერიოდში.

#### საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით შენატანის განხორციელების მომენტში, როგორც კომპანიაში დამფუძნებლის შენატანი.

#### შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის შემოდიდება კომპანიაში, ამასთან შემოსავლის შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავალი საქონლის ან მომსახურების რეალიზაციიდან აღიარდება მაშინ როდესაც კომპანიამ მიაწოდა მყიდველს საქონელი ან გაუწია მომსახურება და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი მყიდველზე გადავიდა, კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი. შემოსავლების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

#### მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილი შემოსავლის, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე. ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების ანგარიშების გაუფასურების რეზერვი ეყრდნობა კომპანიის მიერ იმის შეფასებას, თუ რამდენად მოსალოდნელია გარკვეული დებიტორების ნაშთების ამოღება. თუ მსხვილი დებიტორის კრედიტუნარიანობის გაუარესებას აქვს ადგილი, ან ფაქტობრივად ვადაგადაცილება

შპს „ელ ფი ეი“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

უფრო მაღალია ვიდრე განსაზღვრული იყო, სავაჭრო დებიტორული ანგარიშები შესაძლოა დარეზერვდეს. კომპანიის შეფასება შეიძლება მომავალში გადაისინჯოს უარყოფითად ან დადებითად, იმისდა მიხედვით, თუ როგორია შედეგი ან მოლოდინი, დავალიანების გარშემო არსებული გარემოებების საფუძველზე.

კომპანიამ თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძველად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და დაშვებები მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში ისეთი ცვლილებების გამო, რომლებიც არ ექვემდებარება კომპანიის კონტროლს. ასეთი ცვლილებები აისახება მათი დადგომისთანავე.

## შპს „ელ ფი ე“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

|                             | კომპიუტერული<br>ტექნიკა | ავეჯი და<br>სახვა<br>ინვენტარი | ელექტრონული<br>მოწყობილობები | შენობები | სატრანსპორტო<br>საშუალებები | სულ     |
|-----------------------------|-------------------------|--------------------------------|------------------------------|----------|-----------------------------|---------|
| 01 იანვარი 2018             | 62,352                  | 47,331                         | 1,471                        | 496,719  |                             | 607,874 |
| შემოსვლა                    | 18,656                  |                                |                              |          | 27,000                      | 45,656  |
| გადაფასება                  |                         |                                |                              |          |                             | -       |
| გასვლა                      |                         |                                |                              |          |                             | -       |
| 31 დეკემბერი 2018           | 81,008                  | 47,331                         | 1,471                        | 496,719  | 27,000                      | 653,530 |
| 01 იანვარი 2018             | 51,083                  | 41,636                         | 1,061                        | 129,629  |                             | 223,409 |
| პერიოდის ცვთა               | 6,439                   | 1,826                          | 146                          | 19,869   | 28                          | 28,307  |
| გასვლა                      |                         |                                |                              |          |                             | -       |
| 31 დეკემბერი 2018           | 57,522                  | 43,462                         | 1,207                        | 149,498  | 28                          | 251,716 |
| შემოსვლა                    | 38,927                  | 3,454                          |                              |          |                             | 42,382  |
| გასვლა                      |                         |                                |                              |          |                             |         |
| 31 დეკემბერი 2019           | 119,935                 | 50,786                         | 1,471                        | 496,719  | 27,000                      | 695,911 |
| 01 იანვარი 2019             |                         |                                |                              |          |                             |         |
| პერიოდის ცვთა               | 15,603                  | 1,730                          | 120                          | 19,869   | 3,375                       | 40,697  |
| გასვლა                      |                         |                                |                              |          |                             |         |
| 31 დეკემბერი 2019           | 73,126                  | 45,191                         | 1,327                        | 169,367  | 3,403                       | 292,413 |
| წმინდა საბალანსო ღირებულება |                         |                                |                              |          |                             |         |
| 01 იანვარი 2018             | 11,269                  | 5,695                          | 410                          | 367,090  | -                           | 384,464 |
| 31 დეკემბერი 2018           | 23,486                  | 3,870                          | 264                          | 347,222  | 26,972                      | 401,814 |
| 31 დეკემბერი 2019           | 46,810                  | 5,594                          | 144                          | 327,353  | 23,597                      | 403,498 |

## 3 ძირითადი საშუალებები

## 4 ფული და ფულის ეკვივალენტები

|                                                   | 31-12-19 | 31-12-18 | 01-01-18 |
|---------------------------------------------------|----------|----------|----------|
| ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში  | 135,536  | 30,039   | 45,917   |
| მიღებული შეზღუდული დეპოზიტი                       |          | 267,124  |          |
| ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში | 270,864  | 228,558  | 57,973   |
| ნაღდი ფული საღაროში                               | 83       | 310      | 570      |
| სულ                                               | 406,483  | 526,032  | 104,461  |

## 5 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

|                               | 31 12 19 | 31 12 18 | 01 01 18 |
|-------------------------------|----------|----------|----------|
| სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო     | 487,726  | 400,131  | 347,856  |
| არარეზიდენტი კომპანიები       | 27,275   | 80,466   | 44,998   |
| გადახდილი ავანსები            | 7,165    | 49,300   | 359      |
| მოთხოვნა საწარმოს პერსონალთან |          |          |          |
| სულ                           | 522,165  | 529,896  | 393,213  |

შპს „ელ ფი ეი“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

## 6 კაპიტალი

2018 წლის 1-ლი იანვრისთვის კომპანიის კაპიტალი არის 533,101 ლარი. 2018 წლის მთლიანი სრული შემოსავალია 302,082 ლარი. 2019 წლის მთლიანი სრული შემოსავალი -420,994 ლარი. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაცემული დივიდენდი შეადგენს 106,000 ლარს.

## 7 გრძელვადიანი სესხები

| სესხები          | დაფარვის ვადა | %         |        | 31-12-19   | 31-12-18   | 01-01-18   |
|------------------|---------------|-----------|--------|------------|------------|------------|
|                  |               | განაკვეთი | ვალუტა |            |            |            |
| 1036605-1383610  | 20.09.2021    | 9%        | USD    | 57,215.60  | 68,669.67  | 101,898.24 |
| 1986573-2098725  | 18.03.2019    | 9%        | USD    | -          | (0.00)     | 5,737.21   |
| 1036605-1307301  | 16.03.2022    | 9%        | USD    | 44,612.18  | 68,241.39  | 117,502.38 |
| 1986573-10360471 | 07.08.2022    | 8.97%     | USD    | 17,104.05  |            |            |
|                  |               |           |        | 118,931.83 | 136,911.06 | 225,137.83 |

| მოკლევადიანი     |               |           |        |           |           |            |
|------------------|---------------|-----------|--------|-----------|-----------|------------|
| სესხები          | დაფარვის ვადა | %         |        | 31-12-19  | 31-12-18  | 01-01-18   |
|                  |               | განაკვეთი | ვალუტა |           |           |            |
| 1036605-1383610  | 20.09.2021    | 9%        | USD    | 19,667.55 | 36,546.30 | 32,358.54  |
| 1986573-2098725  | 18.03.2019    | 9%        | USD    |           | 5,924.01  | 21,705.32  |
| 1036605-1307301  | 16.03.2022    | 9%        | USD    | 28,501.41 | 53,086.77 | 47,003.58  |
| 1986573-10360471 | 07.08.2022    | 8.97%     | USD    | 4,408.03  |           |            |
|                  |               |           |        | 52,576.99 | 95,557.08 | 101,067.44 |

|                      | 31-12-19 | 31-12-18 | 01-01-18 |
|----------------------|----------|----------|----------|
| გადასახდელი პროცენტი |          |          | 1325.9   |
| გარანტია             | 147.87   |          |          |
|                      | 147.87   | 0        | 1325.9   |

## 8 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

|                       | 31-12-19 | 31-12-18 | 01-01-18 |
|-----------------------|----------|----------|----------|
| სავაჭრო ვალდებულებები | 4,596    | 7,218    | 4,793    |
| სხვა ვალდებულებები    |          |          |          |
| მიღებული ავანსები     | 21,584   | 20,619   | 16,625   |
| სულ                   | 26,180   | 27,836   | 21,418   |

შპს „ელ ფი ეი“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

#### 9 საერთო მოგება

|                                          | 31-12-19  | 31-12-18  |
|------------------------------------------|-----------|-----------|
| მომსახურების გაწევიდან                   | 2,292,223 | 1,587,777 |
| სულ ამონაგები                            | 2,292,223 | 1,587,777 |
| ნოტარიუსის და თარჯიმნის ხარჯი            | 8,557     | 5,696     |
| სახაზინო სამსახურის ხარჯი                | 4,902     | 5,021     |
| საჯარო რეესტრის ხარჯი                    | 7,115     | 3,706     |
| რეგისტრაციის ხარჯი                       | 965       | 5,511     |
| იურიდიული მომსახურების ხარჯი             | 6,735     | 7,322     |
| სასამართლო ექსპერტიზის ხარჯი             | 1,356     |           |
| საკონსულტაციო ხარჯი                      | 5,943     | 5,552     |
| რეალიზებული პროდუქციის<br>თვითღირებულება | 35,573    | 32,808    |

#### 10 დასაქმებულთა ანაზღაურება

|                | 31-12-19  | 31-12-18  |
|----------------|-----------|-----------|
| ხელფასი        | 1,576,655 | 1,039,776 |
| დაზღვევა       | 37,694    | 38,589    |
| სხვა სარგებელი | 23,410    | 1,295     |
| სულ            | 1,637,758 | 1,079,660 |

#### 11 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

|                                         | 31-12-19  | 31-12-18  |
|-----------------------------------------|-----------|-----------|
| საკონსულტაციო ხარჯი                     | 19,937.23 | 12,701.47 |
| ბანკის ხარჯი                            | 2,679.64  | 1,395.28  |
| ინფორმაციის განახლების ხარჯი            | 7,350.92  | 654.31    |
| საკანცელარიო ხარჯი                      | 3,079.12  | 4,702.07  |
| სამეურნეო დანიშნულების ხარჯი            | 842.35    | 1,249.11  |
| ადამიანური რესურსის ხარჯი               | 584.75    | 50.85     |
| კომუნიკაციის ხარჯი                      | 9,822.22  | 8,919.55  |
| კომპიუტერის ხარჯი                       | 1,338.74  | 2,336.48  |
| მივლინების ხარჯი                        | 12,139.58 | 23,974.17 |
| საფორტო/საკურიერო სატრანსპორტო<br>ხარჯი | 4,085.51  | 13,688.94 |
| სალარო აპარატის მომსახურების ხარჯი      | 72.12     | 150.84    |
|                                         | 61,932.18 | 69,823.07 |

შპს „ელ ფი ეი“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

12 წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:

|                             | 31-12-19    | 31-12-18     |
|-----------------------------|-------------|--------------|
| დადებით საკურსო სხვაობები   | 91,993.47   | 375,581.65   |
| უარყოფითი საკურსო სხვაობები | (92,191.36) | (380,352.07) |
|                             | (197.89)    | (4770.42)    |

13 გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

პარტნიორთა ანაზღაურება 2019 წლის დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 1,199,675.55 ლარს (2018-698,126.15 ლარი). კომპანიას არ ჰყავს დაკავშირებული მხარეები, რომლებიც ნაშთების ან/და ტრანზაქციების გამჟღავნებას საჭიროებს.

14 საანგარიშგებო პერიოდის შემგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მნიშვნელოვანი მოვლენები, რომელიც გავლენას მოახდენდა ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მომხდარა.

15 კორონა ვირუსის გავლენა

2019 წლის დეკემბერში ჩინეთში გავრცელდა ახალი კორონა ვირუსი(COVID-19). მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისთვის ცნობილი იყო აღნიშნული ფაქტი, ვირუსი როგორც გლობალური საფრთხე შეაფასეს მხოლოდ 2020 წლის 31 იანვარს. 2020 წლის 11 მარტს კი ვირუსის სწრაფად გავრცელების გამო პანდემია გამოაცხადა. COVID-19 გავრცელების პრევენციის მიზნით

ქვეყნის მასშტაბით გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა. 2020 წლის 31 მარტიდან ქვეყანაში დაწესდა საგანგებო მდგომარეობა, დაწესდა მტელი რიგი შეზღუდვები, რამაც გამოიწვია შეფერხება

ეკონომიკური საქმიანობის მრავალ სექტორში.

2020 წლის 1 აპრილიდან კომპანიის თანამშრომლები გადავიდნენ დისტანციურ მუშაობაზე და აგრძელებენ უწყვეტ საოპერაციო საქმიანობას. პარტნიორთა შეფასებით ვირუსის გავრცელებას რაიმე მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა არ მოუხდენია მათ საქმიანობაზე.